ქალთა უფლებრივი მდგომარეობა აფხაზეთში

სოციალური
სამართლიანობის
ცენტრი

ქალთა უფლებრივი მდგომარეობა აფხაზეთში

სოციალური სამართლიანობის ცენტრი

2024

თარგმანი რუსულად: როლანდ რაიკი

ყდის დიზაინი: სალომე ლაცაბიძე

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალის გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, სოციალური სამართლიანობის ცენტრის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ციტირების წესი: *სოციალური სამართლიანობის ცენტრი, "ქალთა უფლებრივი მდგომარეობა აფხაზეთში", 2024*

© სოციალური სამართლიანობის ცენტრი

მისამართი: ი. აბაშიძის 12ბ, თბილისი, საქართველო

ტელ.: +995 032 2 23 37 06

www.socialjustice.org.ge

info@socialjustice.org.ge

https://www.facebook.com/socialjustice.org.ge

შესავალი

2023 წლის ბოლოს ჩვენი საზოგადოება შეძრა გალის რაიონში ქალთა მკვლელობების შემზარავმა ფაქტებმა, რომელიც აფხაზეთში ქალთა მძიმე, მაგრამ არაღიარებულ პრობლემებს აჩვენებს და რომელიც, მათ შორის, საქართველოს ხელისუფლების მხრიდან კონფლიქტების ტრანსფორმაციის პოლიტიკაში ამ საკითხის პრიორიტეტიზაციას ითხოვს.

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია სამაგიდო კვლევის მეშვეობით აჩვენოს აფხაზეთში ქალთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებული გამოწვევები და განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებს.

პოსტ-კონფლიქტურ გარემოში, განსაკუთრებით კი, იმ რეგიონებში, სადაც უშუალოდ მიმდინარეობდა საომარი მოქმედებები, ოჯახში ძალადობის პრაქტიკა მძიმე ფორმებს იღებს. კონფლიქტის ტრავმა და მისგან გამოწვეული მძიმე სოციალური პირობები პირდაპირ აისახება ქალების და ბავშვების ყოველდღიურობაზე, უსაფრთხოებაზე და მომავალზე.[1] გაეროს ქალთა ორგანიზაციის მონაცემებით, 2022 წელს კონფლიქტით დაზარალებულ ქვეყნებში 600 მილიონზე მეტი ქალი და გოგონა ცხოვრობდა, რაც 2017 წლის შემდეგ 50%-იან ზრდაზე მიუთითებს.

რეგიონის საერთაშორისო პოლიტიკური იზოლაციის ფონზე, აფხაზეთში უფლებრივი მდგომარეობის შესწავლა და შეფასება რთულია.[2] ერთადერთი ყოვლისმომცველი ანგარიში აფხაზეთის რეგიონში არსებული უფლებრივი მდგომარეობის შესახებ 2017 წელს, თომას ჰამერბერგის, მაგდალენა გრონოს და სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის სპეციალური წარმომდგენლის ინიციატივით შეიქმნა.[3] გარდა საერთაშორისო მონიტორინგის მექანიზმების არ არსებობისა, აფხაზეთში როგორც წესი არ იქმნება ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები და რაოდენობრივი კვლევები, რომელიც ადგილზე არსებულ მდგომარეობას და ტენდენციებს რეალურად აჩვენებდა. ეს ვაკუუმი ორივე მხარეს მომუშავე სამოქალაქო ორგანიზაციებისთვის ართულებს

---

[1] ქალთა და ბავშვთა უფლებების კონფლიქტის დაზარალებულ რეგიონებში 2014-2015 წწ. მიმოხილვა., საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში., საქართველოს სახალხო დამცველი., 2017

[2] შენიშვნა: ამჟამინდელი მდგომარეობით აფხაზეთის ტერიტორიაზე საერთაშორისო ორგანიზაციები არ ოპერირებენ. აღსანიშნავია, რომ 2010 წლამდე გაეროს ადამიანის უფლებების უმაღლესი კომისარიატი, ევროპის საბჭოს ადამიანს უფლებათა კომისარიატი და ეუთოს უმცირესობათა საკითხების კომისარიატი დაუბრკოლებლად შედიოდნენ, როგორც აფხაზეთის, აგრეთვე, სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე. ადამიანის უფლებათა დაცვის ოფისები გაეროს ეგიდით ფუნქციონირებდა, სოხუმსა და გალში, მანამ, სანამ რუსეთის ფედერაციის ვეტოს საფუძველზე მისიის მანდატი არ შეწყდა (ქალთა და ბავშვთა უფლებების კონფლიქტის დაზარალებულ რეგიონებში 2014-2015 წწ. მიმოხილვა., საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში., საქართველოს სახალხო დამცველი., 2017).[2]

[3] Hammarberg T., Grono M., Human rights in Abkhazia Today., Report., 2017.

მსხვერპლთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებისა და სისტემური ცვლილებების ადვოკატირების მიმართულებით მუშაობას.

ქვემოთ წარმოდგენილი შეფასება მეტწილად საქართველოს სახალხო დამცველისა და აფხაზეთის ადამიანის უფლებების დაცვაზე უფლებამოსილი პირის ანგარიშებს, ასევე ამ თემებზე მომუშავე სხვა სამოქალაქო ორგანიზაციების შეფასებებს ეფუძნება.

De facto საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩო

დღესდღეობით აფხაზეთში მცხოვრებ მოსახლეობას ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიან სამართლებრივ გარანტიებზე წვდომა არ გააჩნია. იქ არსებული სამართლებრივი სისტემა, ,,ოჯახში ძალადობის'' ცნებას ცალკე დანაშაულად არ განიხილავს, ძალადობისთვის კი, სასჯელის სახით მხოლოდ 15 დღიან პატიმრობას ითვალისწინებს.[4]

მსხვერპლები თავს დაცულად ვერც ე.წ სამართალდამცავ ორგანოებთან კომუნიკაციაში გრძნობენ. აფხაზეთში ადგილობრივი სამოქალაქო ორგანიზაციების წარმომადგენლები ასახელებენ ისეთ შემთხვევებს, როდესაც ადგილობრივი მილიცია ძირითად შემთხვევებში ცდილობს ძალადობის მსხვერპლი ქალები გადაურწმუნონ საჩივრის შეტანის აუცილებლობაში. გარდა ამისა, არსებობს ერთგვარი დაუწერელი კანონიც, რომ ომის ვეტერანები, განსაკუთრებით კი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ძალადობის ბრალდების მიუხედავად, დაუყოვნებლივ თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან.[5]

2019 წლიდან აფხაზეთის de facto პარლამენტში ადგილობრივი ომბუდსმენის მიერ და აფხაზეთის ქალთა ასოციაციის ჩართულობით, შესულია კანონპროექტი ოჯახში ძალადობისგან დაცვის შესახებ. თუმცა კანონპროექტის განხილვა ჯერჯერობით არ მომხდარა. ომბუდსმენი de facto უწყებებისათვის გასცემს რეკომენდაციებს, რომ შემუშავდეს ეფექტიანი ინსტიტუციური გარანტიები ოჯახში ძალადობის დანაშაულის აღკვეთისათვის და ამ არგუმენტს უფლებების დაცვის საერთაშორისო სტანდარტებით ამყარებს.[6] აფხაზეთის ქალთა ასოციაციის წარმომადგენლის თქმით,

---

[4] Элеонора Гилоян., JEM News., Крики за стеной. Домашнее получение дохода в Абхазии – проблема, игнорируемая разрешение [ხელმისაწვდომია: https://jam-news.net/ru/%D0%B4%D0%BE%D0%BC%D0%B0%D1%88%D0%BD%D0%B5%D0%B5-%D0%BD%D0%B0%D1%81%D0%B8%D0%BB%D0%B8%D0%B5-%D0%B2-%D0%B0%D0%B1%D1%85%D0%B0%D0%B7%D0%B8%D0%B8-%D0%BF%D1%80%D0%BE%D0%B1%D0%BB%D0%B5%D0%BC%D0%B0-%D0%B8/]

[5] OC Media., Domestic violence in Abkhazia unspoken truth., 17 Jan 2018., [ხელმისაწვდომია: https://oc-media.org/features/domestic-violence-in-abkhazia-an-unspoken-truth/]

[6] Ombudsperson in the Republic of Abkhazia., Annual Report on the activities of human rights Ombudsmen in the Republic of Abkhazia.,2021., 98. Rus. [ხელმისაწვდომია: https://ombudsmanra.org/upload/iblock/fc9/fc9ff1f9c027d2833e5eb8dab7e48757.pdf?fbclid=IwAR1l5jiKvKNjH-zBR8lgFgEPpaeO4p76-syHgN4DvYP7YMnAN39ScB9DvZI]

პარლამენტი ყველანაირად ცდილობს დააკნინოს სამოქალაქო ორგანიზაციების აქტიურობა და ნაკლებად უჭერს მხარს ამ მიმართულებით ცნობიერების ამაღლებისა, თუ სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტების ჩატარებას.

ახლად არჩეული დე-ფაქტო ომბუდსმენი ანას ქიშმარიაც გამოხატავს მზადყოფნას აქტიურად დაუჭიროს მხარი ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის მიმართულებით მუშაობას. 2023 წლის დეკემბერში აფხაზეთის ქალთა ასოციაციის მიერ, გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 16-დღიანი კამპანიის ფარგლებში დაორგანიზებულ ქალთა ფორუმზე ადგილობრივმა სახალხო დამცველმა აღნიშნა, რომ ომბუდსმენის ოფისი გამოყენებული უნდა იყოს, როგორც პლატფორმა ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების, გადაწყვეტილების მიმღები პირებისა და ყველა დაინტერესებული მხარისათვის.[7] ომბუდსმენის თქმით, მის ოფისში გაზრდილია მიმართვიანობა დახმარებისათვის, მათ შორის ოჯახში ძალადობის და გოგონების მიმართ სექსუალური ძალადობის ფაქტებზე.[8]

ქალთა უფლებების მიმართულებით მდგომარეობას ისიც ამძიმებს, რომ 2016 წელს აფხაზეთის de facto პარლამენტმა აბორტის აკრძალვის შესახებ კანონი მიიღო. ოჯახში ძალადობის სათანადო დაცვის მექანიზმების, არსებობასთან ერთად კი, ასეთი სამართლებრივი და ინსტიტუციური გარემო, აფხაზეთის ტერიტორიაზე ქალებს დაუცველობას აღრმავებს.[9]

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის სიმწვავე აფხაზეთში

<u>დანაშაულის ინდენტიფიცირების პრობლემა</u>

მოქმედი სამოქალაქო ორგანიზაციების წარმომადგენლები და ამ თემაზე მომუშავე აქტივისტები საუბრობენ აფხაზეთში გავრცელებულ მცდარ წარმომდგენებზე, რომ ქალთა და ბავშვთა მიმართ ძალადობა იშვიათად ხდება, რაც კიდევ უფრო უშლის ხელს დანაშაულის გამოვლენას. ოჯახში ძალადობის შემთხვევები ხშირად არ არის იდენტიფიცირებული, სწორედ იმიტომ, რომ ამგვარი წარმოდგენების ფონზე, მსხვერპლი არ ითხოვს დახმარებას და ზოგჯერ თავად თვლის თავს დამნაშავედ.[10] ბევრი ქალი უარს ამბობს საკუთარი თავის მსხვერპლად იდენტიფიცირებაზე, რადგან იგი არ მოელის, რომ მას საზოგადოება მხარს დაუჭერს, შესაბამისად ისინი არ არიან მორალურად მზად, თანმდევი ნაბიჯების გადასადგმელად.[11] თომას ჰამერბერგისა და

---

[7] იქვე.

[8] ЛЕНТА НОВОСТЕЙ., В Абхазии есть домашнее насилие всех видов., 18 დეკ 2023., [ხელმისაწვდომია: http://abkhazinform.com/tochka-zreniya/item/20545-v-abkhazii-est-domashnee-nasilie-vsekh-vidov

[9] ქალთა მიმართ ძალადობის კვლევა ზუგდიდისა და გალის კონფლიქტით დაზარალებულ მოსახლეობაში., ქალთა ფონდი საქართველოში.,2018.,13.

[10] გოგორიან ა., Ekho kavkaza., Нателла Акаба: «В Абхазии люди совершенно неправильно понимают понятие «гендер»., 8 მარ. 2021., [ხელმისაწვდომია: https://www.ekhokavkaza.com/a/31140168.html]

[11] <u>იქვე.</u>

მაგდანელა გრონოს 2017 წლის ანგარიშშიც ნაჩვენებია, რომ თემის სრულყოფილი კვლევა და აფხაზურ საზოგადოებაში ამ საკითხის განხილვა რთულია, განსაკუთრებით ტრადიციულ ოჯახებში, სადაც ოჯახური წრის მიღმა, პირად თემებზე საუბარი სამარცხვინო ქცევადაა აღქმული. ანგარიშის ავტორები მიიჩნევენ, რომ ოჯახში ძალადობის შემთხვევები ძირითადად არაფორმალურად წყდება და სახელდახელოდ იმალება, რომ ზედმეტად არ გახმაურდეს.[12]

ფემიციდი და ,,ღირსების მკვლელობები''

ჰამერბერგის ანგარიშში ასევე გამახვილებულია ყურადღება ე.წ. ,, ღირსების მკვლელობების'' ტრაგიკულ შემთხვევებზე, რაც ქალის ,,დასჯის'' ერთ-ერთი ფორმაა, ოჯახის შეურაცხყოფისა და საზოგადოებაში დადგენილი მორალური ნორმებისგან გადახვევისთვის. 2016 წლის მდგომარეობით, ადგილობრივმა ორგანიზაციებმა, ქალთა ინიციატივის კლუბის სახელით, გააკეთეს ერთობლივი განცხადება ე.წ. ღირსების მკვლელობებთან დაკავშირებით, სადაც გამოყოფილი იყო რამდენიმე შემთხვევა ახალგაზრდა ქალის, არასრულწლოვანი გოგონასა და მისი უფროსი დის სავარაუდოდ მამის მიერ მკვლელობის, და რის სათანადო გამოძიებისაც ისინი ითხოვდნენ. აღნიშნულზე საუბრობს საქართველოს სახალხო დამცველიც სპეციალურ 2017 წლის ანგარიშში,[13] სადაც უთითებს, რომ de facto უწყებების წარმომადგენლები უარყოფენ ,,ღირსების'' მკვლელობების შემთხვევებს. ერთ-ერთი თვითმკვლელობამდე მიყვანის ფაქტზე არც საქმე აღძრულა იმ მიზეზით, რომ საჩივრით არავის მიუმართავს, მიუხედავად იმისა, რომ სუიციდს წინ ქალის მიმართ ქმრის ღალატის ბრალდებები და მუქარების უძღოდა.[14]

ფემიციდის, უახლესი გახმაურებული შემთხვევა, გალის რაიონში, ახალგაზრდა ქალის, ეთნიკურად ქართველის, ნათია ბახტაძის მკვლელობაა. ნათია 2023 წლის 28 ივლისს გაუჩინარდა. ოჯახის წევრებმა და ახლობლებმა იფიქრეს, რომ იგი ,,ქორწინების მიზნით'' მოიტაცეს. რამდენიმე დღეში სოფელ ილორში ახალგაზრდა ქალის ცხედარი იპოვეს, თუმცა მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ გარდაცვლილი ერთი კვირით ადრე, სოფელ გულრიფშიდან დაკარგული ქალი იყო. აღნიშნულ საქმეზე დამატებითი ინფორმაცია არ გასაჯაროებულა. ნათია ბახტაძის ცხედარი კი, დღემდე არ უპოვიათ. De facto ხელისუფლებამ დააკავა ბახტაძის მკვლელობაში ბრალდებული ოჩამჩირეში მცხოვრები, აინარ ცვიჟბა. ცვიჟბამ მკვლელობა აღიარა, მიზეზად კი, ქალის უარი და ნათიას მოსალოდნელი ქორწინების შესახებ ინფორმაცია დაასახელა.[15] აღსანიშნავია, რომ ნათია ბახტაძემ არაერთხელ მიმართა de facto სამართალდამცავ

[12] Hammerberg T., Grono M.,Human Rights in Abkhazia Today., Report., 2017.
[13] ქალთა და ბავშვთა უფლებების კონფლიქტის დაზარალებულ რეგიონებში 2014-2015 წწ. მიმოხილვა., საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში., საქართველოს სახალხო დამცველი., 2017., 8.
[14] იქვე.
[15] DRI.,ადამიანის უფლებები აფხაზეთში და გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში., 2023., 13. [ხელმისაწვდომია: https://library.fes.de/pdf-files/bueros/georgien/20785.pdf

ორგანოებს ძალადობის მუქარებთან დაკავშირებით, თუმცა ამ ინფორმაციისთვის ყურადღება არავის მიუქცევია.[16]ამ დროისთვის, ბრალდებულის წინააღმდეგ საბოლოო გადაწყვეტილება არ არის გამოტანილი. ადგილობრივი ცნობებით, ცვიჟბას ოჯახი რეგიონში პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენებით სარგებლობს, რის გამოც ისინი ყველა გზით ცდილობენ ბრალდებულისათვის სასჯელის შემსუბუქებას ან გაქარწყლებას.[17] ამას ემატება ისიც, რომ აფხაზეთში პირადი ინტერესებით და არაობიექტურად გამოძიების ან სასამართლო პროცესის წარმართვა არ არის უცხო. ქალის მკვლელობა ეჭვიანობის ნიადაგზე კი, საზოგადოებისათვის დანაშაულის შემამსუბუქებელ გარემოებად აღიქმება. სწორედ ამიტომ, საზოგადოებას ნათია ბახტაძის მკვლელობასთან დაკავშირებით სამართლიანი სასამართლოს იმედი არ აქვს.[18]

<u>ქალთა მიმართ ძალადობის სისტემური ფორმები</u>

ქალთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია, რეგიონის კიდევ ერთი დიდი პრობლემა - ადრეულ ასაკში გოგონების ქორწინება. ასეთ ფაქტებზე de facto სამართალდამცავი სტრუქტურები არ ახდენენ რეაგირებას და მართლმსაჯულების აღსრულებას. ძირითადად, ოჯახები ღირსების შელახვის მოტივით, გოგონების უკან დაბრუნებას ეწინააღმდეგებიან. აღნიშნული, კიდევ უფრო ააშკარავებს, თუ რამდენად კომპლექსურია ქალთა მიმართ ძალადობის საკითხი აფხაზეთში.

2016 წელს საკანონმდებლო დონეზე აბორტის აკრძალვის ფაქტიც, სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ ქალის მიმართ დისკრიმინაციის ფორმები სისტემურ ხასიათს ატარებს. კანონი სრულად კრძალავს ფეხმძიმობის ხელოვნურ შეწყვეტას, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ფეხმძიმობა საფრთხეს უქმნის დედის ჯანმრთელობას. ერთადერთი გამონაკლისი მუცლადყოფნის პერიოდში ნაყოფის გარდაცვალებაა. ცხადია, კანონის მიღებას კრიტიკა მოჰყვა ადგილობრივი სამოქალაქო ორგანიზაციებისა და აფხაზი ომბუდსმენის მხრიდან. ასევე, de facto ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებმა მიმართეს de facto პარლამენტს თხოვნით, რომ გადახედონ კანონს, რადგან ამ ფორმით იგი ვერც შობადობის ზრდას შეუწყობს ხელს და პირიქით, შექმნის ქალთა ჯანმრთელობის პრობლემებს. ამ აზრს აფხაზეთში მცხოვრები ექიმებიც იზიარებენ. მიუხედავად ძალისხმევისა, აბორტი აფხაზეთში დღეის მდგომარეობითაც აკრძალულია.[19]

რას აკეთებენ სამოქალაქო ორგანიზაციები?

---

[16] ინტერვიუ მკვლევარ-ექსპერტ ნანა გოგოხიასთან
[17] იქვე.
[18] იქვე.
[19] საქართველოს სახალხო დამცველი., სპეციალური ანგარიში., 2017., 9.

აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქმედი სამოქალაქო ორგანიზაციები მინიმალური რესურსებით მუშაობენ. მიუხედავად ამისა, მათ გარკვეულ ცვლილებებს მიაღწიეს საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლების, სამართლებრივი კონსულტაციების გაწევისა და ჯანდაცვის მიმართულებით.[20]

2023 წლის მდგომარეობით, აფხაზეთის ტერიტორიაზე აფხაზეთის ქალთა ასოციაციის მიერ შექმნილი ოთხი უფასო კრიზისული ცენტრი 2017 წლიდან მოქმედებს, სადაც ქალებს, ანონიმურად, სამართლებრივი და სამედიცინო, მათ შორის, ფსიქოლოგიური დახმარების შესაძლებლობა ეძლევათ.[21] ასოციაციის დირექტორის თქმით, **უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში, ორგანიზაციაში 680 ძალადობის შემთხვევა დარეგისტრირდა და 1200 მეტი განაცხადი იქნა შეტანილი.** განცხადებების უმრავლესობა ქალებისა და ბავშვების მიერ არის შეტანილი. არის ცალკეული შემთხვევები, როდესაც მამაკაცები მიმართავენ ორგანიზაციას ფსიქოლოგიური დახმარების აღმოჩენისათვის.[22]

სამოქალაქო ორგანიზაციების მხრიდან ამგვარი აქტიურობა მხოლოდ და მხოლოდ საერთაშორისო ფონდების ფინანსური მხარდაჭერით არის შესაძლებელი, რაც ცხადია, არ არის საკმარისი რესურსი მსხვერპლთათვის დახმარების აღმოჩენისათვის.

დაცვის რა საშუალებები არსებობს საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე ?

საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის სპეციალური ანგარიშის მიხედვით, აპარატის ხელთ არსებული ინფორმაციით, ძალადობის მსხვერპლ ქალთა მცირე ნაწილი 2014-2016 წლების მონაცემებით, ახერხებდა საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოსვლას და აქ არსებული სერვისებით სარგებლობას. ანგარიშის თანახმად, მათთვის ხელმისაწვდომია, მხოლოდ ცენტრალური ხელისუფლებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ბაზაზე არსებული თავშესაფრები. ასევე,სამედიცინო ფსიქოლოგიური და იურიდიული დახმარება.[23] **თუმცა, ოჯახში ძალადობის საკითხებზე სერვისის მიმწოდებელი საქართველოს ცენტრალური უწყებები ვერ ახორციელებენ კონფლიქტურ რეგიონებში მცხოვრები პირთათვის სათანადო მომსახურების მიწოდებას, სანამ ისინი**

---

[20] Abkhaz World., Women's rights in Abkhazia discussed at Wome's Forum., 16 Dec 2023., [ხელმისაწვდომია: https://abkhazworld.com/aw/current-affairs/2619-women-s-rights-in-abkhazia-discussed-at-women-s-forum]

[21] АПСНЫПРЕСС., Ситуацию с правами женщин Абхазии обсудили на Женском форуме., 16 დეკ. 2023., [ხელმისაწვდომია: https://www.apsnypress.info/ru/home/novosti/item/9005-situatsiyu-s-pravami-zhenshchin-abkhazii-obsudili-na-zhenskom-forume]

[22] ЛЕНТА НОВОСТЕЙ., В Абхазии есть домашнее насилие всех видов., 18 დეკ 2023., [ხელმისაწვდომია: http://abkhazinform.com/tochka-zreniya/item/20545-v-abkhazii-est-domashnee-nasilie-vsekh-vidov

[23] ქალთა და ბავშვთა უფლებების კონფლიქტის დაზარალებულ რეგიონებში 2014-2015 წწ. მიმოხილვა., საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში., საქართველოს სახალხო დამცველი., 2017. [ხელმისაწვდომია:https://ombudsman.ge/res/docs/2019041112553481810.pdf?fbclid=IwAR3jMpB0lBDxbB9OjnxcYfMXvEKT-2XBiyc6aGSe_QpeEqkDTudvepu3Phg]

კონტროლირებად ტერიტორიაზე არ მოხვდებიან.[24] სიტუაციას კიდევ უფრო ართულებს ის ფაქტი, რომ ქალები საკუთარი თავის იდენტიფიცირების რისკების გამო, ადმინისტრაციულ საზღვარს არ კვეთენ.[25] აღსანიშნავია, რომ ქალაქ ზუგდიდში არსებული საქველმოქმედო ორგანიზაცია - ასოციაცია "მერკური" წლების განმავლობაში ახერხებდა გალის რაიონიდან ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ბენეფიციარების მიღებას, თუმცა ბოლო პერიოდში მას, როგორც მუნიციპალური, ასევე დონორების მხრიდან დაფინანსება შეუწყდა.[26]

საქართველოს სახალხო დამცველის 2020 და 2021 წლის საპარლამენტო ანგარიშებში ნაჩვენებია, რომ COVID-19 პანდემიის სოციალური და ეკონომიკური გავლენები განსაკუთრებით უარყოფითად აისახა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე და გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და გოგონების საჭიროებებზე. გადაადგილების თავისუფლებასთან დაკავშირებულმა შეზღუდვებმა, გამშვები პუნქტების პერიოდული, ხანგრძლივი ჩაკეტვის სახით, კიდევ უფრო გაართულა წვდომა კონტროლირებად ტერიტორიაზე არსებულ სამედიცინო თუ სხვა სახის სერვისებთან. გარდა ამისა, აბორტის აკრძალვის პარალელურად, ქალებს არ მიუწვდებოდათ ხელი კონტრაცეპტივებზე. შესაბამისად, ისინი მიმართავენ სხვადასხვა აკრძალულ ხერხს, აბორტის სერვისის მისაღებად. პანდემიამ კიდევ უფრო დაამძიმა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის უფლების კუთხით ქალების მდგომარეობა.

დასკვნა

აფხაზეთში მოქმედმა არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიურმა მუშაობამ ცხადყო, თუ რამდენად მწვავედ დგას ოჯახში ქალთა და ბავშვთა მიმართ ძალადობა. მათ მიერ ინდივიდუალური შემთხვევების იდენტიფიცირებითა და მსხვერპლთა დახმარების აღმოჩენის გზებით, შეუძლებელი გახდა ოჯახში ძალადობის პრაქტიკის უარყოფა. კანონისა და ინსტიტუციურად გამართული მექანიზმების არსებობა უმნიშვნელოვანესია ოჯახში ძალადობის შემთხვევების პრევენციისა და მსხვერპლთათვის დახმარების აღმოჩენისათვის, თუმცა აფხაზეთში ამ საკითხზე სერიოზული მუშაობა არ მიმდინარეობს.

არსებითია ადამიანზე ორიენტირებული მიდგომების გაძლიერება კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალების უფლებების დასაცავად. ეს მიდგომა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების (WPS) შესახებ გაეროს დღის წესრიგის მხარდასაჭერად. ადამიანზე ორიენტირებული

[24] იქვე.
[25] ინტერვიუ მკვლევარ-ექსპერტ ნანა გოგოხიასთან
[26] იქვე.

მიდგომა გაეროს რეზოლუციებში ნიშნავს ფუნდამენტურ პარადიგმულ ცვლილებას კონფლიქტების შედეგად დაზარალებული პირების საჭიროებების, უფლებებისა და კეთილდღეობის პრიორიტეტების სასარგებლოდ. ეს მიდგომა ხაზს უსვამს ადამიანების, განსაკუთრებით ისეთი მოწყვლადი ჯგუფების საკითხის, როგორიცაა ქალები და ბავშვები, დაყენებას გადაწყვეტილების მიღებისა და პოლიტიკის დაგეგმვის სათავეში. ეს მიდგომა ითვალისწინებს კონფლიქტების მძიმე გავლენას ადამიანებზე და მიზნად ისახავს უზრუნველყოს მათი დაცვა, არსებით სერვისებზე ხელმისაწვდომობა და ღირსების პატივისცემა. გაეროს რეზოლუციებში ეს ცვლილება ასახავს გადახვევას ტრადიციული სახელმწიფოზე ორიენტირებული მიდგომებიდან, რომელიც ასახელებს ადამიანის კეთილდღეობასა და უფლებებს, როგორც უპირველეს საკითხს გლობალური გამოწვევების გადასაჭრელად, და მხარს უჭერს ისეთ ინტერვენციებს, რომლებიც უშუალოდ სარგებელს მოუტანს და აძლიერებს დაზარალებულ მოსახლეობას. ეს პარადიგმული ცვლილება მიზნად ისახავს კონფლიქტებსა და კრიზისებზე გლობალური რეაგირების ჰუმანიზაციას, გაეროს რეზოლუციებში მილიტარიზაციისა და უსაფრთხოებაზე ორიენტირებული სტრატეგიების გადახედვას. მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმა, რომ კონფლიქტების შედეგად დაზარალებული ყველა ქალის ძირითადი საჭიროებებისა და ადამიანის უფლებების პრიორიტეტიზაცია არ არის მხოლოდ ჰუმანიტარული საკითხი, არამედ ფუნდამენტური ნაბიჯი კრიზისების დროს ადამიანის ღირსების დასაცავად. ამისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კონფლიქტის რეგიონებში არსებობდეს ხელმისაწვდომი თავშესაფრები და ჯანდაცვის სერვისები. არსებითია მოხდეს ყველა იმ ბარიერების მოხსნა, რომლებიც აფერხებს სასიცოცხლო მომსახურების მიწოდებას და ქალთა უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის დაცვას. **ეს კონცეპტუალური მიდგომები საქართველოს მთავრობას ადამიანის საჭიროებებისა და უფლებების დასაცავად უფრო მოქნილი და გაბედული გადაწყვეტილებების მიღებისკენ უნდა უბიძგებდეს.**

საქართველოს სახალხო დამცველი, საპარლამენტო ანგარიშებში, ხელისუფლებას მოუწოდებს, რომ აწარმოოს მოლაპარაკებები, ყველა შესაძლო საერთაშორისო ფორმატის გამოყენებით, რათა რუსეთის ფედერაციის მთავრობამ დაუშვას საერთაშორისო მონიტორების სრული და შეუზღუდავი წვდომა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე.[27] აღნიშნული მიდგომა მთლიანობაში გააძლიერებს უფლებრივი მდგომარეობის მონიტორინგს შესაბამისი აქტორების მხრიდან და ცხადია, რომ მას ასევე ექნება პირდაპირი გავლენა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ სისტემური გარანტირების დანერგვის ადვოკატირებისა და დანაშაულის პრევენციისთვის.

[27] სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში., 2020., 449

ქალთა საჭიროებების და ინტერესის ასახვისთვის პოლიტიკაში, მნიშვნელოვანია, რომ არსებული საერთაშორისო პროექტებისა და დიალოგის შეხვედრების დაგეგმვის პროცესში გაძლიერდეს ადგილობრივ ქალთა ორგანიზაციებთან ინკლუზიური და რეგულარული საკონსულტაციო პროცესი.

მნიშვნელოვანია, რომ სამშვიდობო პოლიტიკამ, ასევე სახელმწიფოს მიერ შემუშავებულმა ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის, ძალადობა გამოვლილი ქალების დაცვისა და გრძელვადიანი ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის საკითხებს. ამ კუთხით ღირებული იქნება, თუ საქართველოს სახელმწიფო აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ ქალებს შესთავაზებს უფასო სამართლებრივი, სამედიცინო და ფსიქო-სოციალური მხარდაჭერის ონლაინ და გეოგრაფიულად ხელმისაწვდომ რესურსებს. არსებითად მნიშვნელოვანია, კიდევ უფრო მეტი აქცენტი გაკეთდეს ძალადობა გამოვლილი ქალების გრძელვადიან რეაბილიტაციაზე და გაძლიერებაზე. ასევე მნიშვნელოვანია საქართველოს სახელმწიფომ დანერგოს უფრო მოქნილი მიდგომები დონორი ორგანიზაციებისა და სამოქალაქო ორგანიზაციების მუშაობაში, რაც აფხაზეთის ტერიტორიაზე ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლის მექანიზმების, სერვისებისა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას შეუწყობდა ხელს.

მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს გალის რაიონში ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევებზე და ამ რეგიონში მცხოვრები ადამიანების მობილობის გათვალისწინებით, ადგილობრივ საჭიროებებზე დაფუძნებული და ადვილად ხელმისაწვდომი მოქნილი პროგრამები დანერგოს. ამ კუთხით არსებითია, საქართველოს ხელისუფლებამ შექმნას გალის რაიონში მცხოვრებ ქალებთან რეგულარული და ინკლუზიური საკონსულტაციო პროცესი. ამასთან, მნიშვნელოვანია საქართველოს მთავრობამ სხვადასხვა დიალოგის ფორმატში მკაცრად დააყენოს, გალში ქალთა მკვლელობისა, თუ სხვა მძიმე დანაშაულების საქმეებზე სათანადო სამართლებრივი რეაგირების საკითხი.